

**საქართველოში
ქალთა და გენდერულ საკითხებზე
მომუშავე საზოგადოებრივი
ორგანიზაციების შეფასება**

კვლევის ანგარიში



კვლევა განხორციელდა პროექტის „საქართველოში ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება და მათი მონაწილეობის გაზრდა გადანაცვლებების მიღების პროცესში“ ფონდ „ქალები ქალებისთვის“ (KTK) მხარდაჭერით.

კვლევის ავტორი

ელენე რუსეცვი

თანაავტორი

თამარ გოგოლაძე

ინტერვიუერი

ნინო მოდებაძე

ასისტენტები

თამთა გელაშვილი

სოფიო რუსეცვი

დიზაინი და დაკაბადონება

პაატა მამფორია

ყდის დიზაინი

გიორგი დავთიანი

კვლევა გამოიცა ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამომცემლობაში

კვლევის ელექტრონული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ სამხრეთ კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელის პორტალზე www.ginsc.net და ქალთა საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე www.wicge.org

ISBN 978 - 9941 - 0 - 4226 - 3

განსაკუთრებული მადლობა

- ❏ შვედურ ფონდს – "Kvinna till Kvinna" – წლების მანძილზე ქალთა საინფორმაციო ცენტრისთვის გაწეული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის;
- ❏ ქალთა გლობალურ ფონდს (GFW), ქალთა ფონდს საქართველოში (WFG) და ფონდ „ტასოს“ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოწოდებისთვის;
- ❏ ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, სათემო კავშირებსა და რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისთვის;
- ❏ მკვლევარ კონსულტანტთა ჯგუფის (RCG) წევრს, გიორგი რატიანს, კვლევის ანგარიშისთვის გაწეული კონსულტაციებისთვის;
- ❏ ეკა გაბელიას, საერთაშორისო განათლების სპეციალისტს, კვლევის ანგარიშის თარგმანისათვის.

შინაარსი

წინასიტყვაობა

თავი 1. კვლევის შესახებ

- 1.1. კვლევის მიზანი 8
- 1.2. მეთოდოლოგია 8
- 1.3. ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები და მონაცემების შეგროვება 9

თავი 2. კვლევის შედეგების აღწერა

- 2.1. ზოგადი დახასიათება 12
- 2.2. ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სამიზნე ჯგუფები. 18
- 2.3. რესურსები და საჭიროებები. 22
- 2.4. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები 26
- 2.5. ორგანიზაციების საჭიროებები 29
- 2.6. ადვოკატირება და ლობირება. 30
- 2.7. პარტნიორები. 34

დასკვნა

რეკომენდაციები

დანართები

- დანართი 1. ანკეტის ნიმუში 43
- დანართი 2. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციების სია. 58
- დანართი 3. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეთა სია 60
- დანართი 4. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა სია 61

წინასიტყვაობა

სიტყვა „გენდერი“ ჩვენი ენობრივი სივრცის ნაწილი გახდა, თუმცა, ჯერ კიდევ „ყურს ჭრის“ საზოგადოების ფართო ფენებს, ადამიანები საკმაოდ არაერთგვაროვნად აღიქვამენ მას და სიტყვა „გენდერის“ მიმართ ერთგვარ სიფრთხილესა და უნდობლობას იჩენენ. საგულისხმოა, რომ ამ კუთხით, ბოლო წლების მანძილზე მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით და საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ამაღლდა საზოგადოების ცნობიერება, თუმცა, სიტყვის სრულფასოვანი და სწორი აღქმისგან საზოგადოება ჯერ კიდევ შორსაა.

ტერმინისადმი - „გენდერი“- ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება არ ნიშნავს, რომ საზოგადოება მხოლოდ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დაინტერესდა გენდერული თანასწორობის თემით. საბჭოთა და უფრო ადრეულ პერიოდში სხვაგვარი იყო ტერმინოლოგია, ენობრივი სივრცე. მოგვიანებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად „ქალთა საკითხებმა“ უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო და დღეს, ტერმინი¹ - „გენდერი“- განიმარტება, როგორც თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები.

კიდევ ერთ, „საჩოთირო“ ტერმინს წარმოადგენს სიტყვა „ფემინიზმი“. საქართველოში უცნაური ტენდენციაა ამ ტერმინთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ისინი მუშაობენ ქალთა პრობლემებთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანდაცვის, სამართლებრივ თუ სხვა საკითხებზე და, ამავედროულად, მათი უმრავლესობა მკაცრად უარყოფს და უკუაგდებს სიტყვას „ფემინიზმი“, შესაბამისად, ისინი არ მოიაზრებენ საკუთარ თავს ფემინისტად და ორგანიზაციას – ფემინისტურ ორგანიზაციად.

შესაძლებელია, ეს ვითარება მსოფლიოში ფემინიზმის სხვადასხვაგვარობიდან, კერძოდ, რადიკალური ფემინიზმის გააქტიურებიდან მომდინარეობდეს და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთგვარ თავდაცვის ფორმას მიმართავენ, რათა საზოგადოებამ მათი საქმიანობა არ გააიგივოს რადიკალური ფემინიზმის მიმდევ-

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

¹ გულისხმობს ქალის და მამაკაცის თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3266>

რებთან. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავად ექცევიან იმ ჩარჩოში, რომლის დანგრევასაც ისინი დიდი მონდომებით ცდილობენ.

საქართველოში მეორე ათეული წელია დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით ხორციელდება პროექტები, რომლებიც გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. ამგვარმა პროექტებმა ხელი შეუწყო ამ მიმართულების საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, დღეისათვის ისინი ინსტიტუციონალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან და უაღრესად მნიშვნელოვანია ამ პროგრესის, ნაკლოვანებებისა და გამოცდილების ანალიზი, რათა გამოიკვეთოს შემდგომი განვითარების პროცესი.

ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს აქვთ დაგროვილი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელია უფრო ეფექტურად მოხმარდეს მოსახლეობის ინტერესების დაცვას, პრობლემების ადვოკატირებასა და ლობირებას. ამ მიმართულებით მომუშავე საზოგადოებრივი სექტორი მზად არის მონაწილეობა მიიღოს პროგრამების განხორციელებაში და ხელი შეუწყოს ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს.

დღეს, საქართველოს ყველა რეგიონში, არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საინიციატივო ან სათემო ჯგუფები, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებია. ძალზე მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციების შესაძლებლობების შესწავლა, მათი საჭიროებების გამოვლენა და გავლენა საზოგადოებაზე.

ქალთა საინფორმაციო ცენტრმა პირველად 2007 წელს შეისწავლა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა და შეაფასა მათი განვითარების პოტენციალი.¹ ამ კვლევის შედეგად მომზადდა რეკომენდაციები, რომლის შედარება ამჟამინდელ კვლევასთან მნიშვნელოვანი იქნებოდა, რათა დაგვეჩვენა შეიცვალა თუ არა მდგომარეობა ამ დროის მანძილზე.

ამ მიზნით, 2011 წელს, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა დაიწყო პროექტის „საქართველოში ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება და მათი მონაწილეობის გაზრდა გადანაცვტილებების მიღების პროცესში“ განხორციელება, ფონდის „ქალები ქალებისთვის“ (KTK) მხარდაჭერით. პროექტის მიზანი იყო ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის (CEDAW) კონვენციით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის

¹ ob: <http://ginsc.net/main.php?option=libmore&mode=0&id=601&sub=studies&year=2007&lang=ge>

პროცესში და ამ გზით ქალთა ორგანიზაციებისა და ჯგუფების პრაქტიკის განვითარება მონიტორინგის სფეროში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომელიც მოიცავდა ქვეყნის მასშტაბით ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საინიციატივო ან სათემო ჯგუფების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესწავლას და მათ გენდერულ შეფასებას.

კვლევისას მიღებული შედეგები იძლევა ინფორმაციას საქართველოში ქალთა საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობის, სერვისების, სამიზნე ჯგუფების შესახებ რეგიონულ ჭრილში, მათი ინსტიტუციონალური განვითარების დონისა და შესაძლებლობების შესახებ.

საპარტველოში
მოქმედი
ქალთა
და
გენდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

თავი 1. კვლევის შესახებ

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

8

1.1. კვლევის მიზანი

საქართველოში მოქმედი ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და სათემო კავშირების შესაძლებლობების გამოვლენა და მათი და საჭიროებების შეფასება.

1.2. მეთოდოლოგია

კვლევის განსახორციელებლად შეირჩა შემდეგი მეთოდოლოგია: გამოკითხვა (ანკეტირება), ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და დაკვირვება.

ამ მიზნით:

- გამოიკითხა 44 მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია¹ თბილისსა და რეგიონებში;
- ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ 7 ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირთან;
- ჩატარდა 6 ფოკუს-ჯგუფი საქართველოს ოთხ რაიონში: გორი, ზუგდიდი, ქუთაისი და მარნეული;
- განხორციელდა 12 გასვლითი ვიზიტი საქართველოს 5 რეგიონში: აჭარა, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი.

¹ იხ: დანართი 2, კვლევაში მონაწილე გამოკითხული ორგანიზაციების სია.

1.3. ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები და მონაცემების შეგროვება

კვლევა განხორციელდა 2 ეტაპად:

I ეტაპი

მომზადდა საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და სათემო კავშირების ერთიანი სია „სამხრეთ კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელის“ პორტალზე განთავსებული ორგანიზაციების მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. აღნიშნული მონაცემთა ბაზა შეიქმნა 2002 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ და პერიოდულად მიმდინარეობს მისი განახლება. „სამხრეთ კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელის“ პორტალზე განთავსებულია 159 საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და საინიციატივო ჯგუფის მონაცემი.

ამ ბაზას დაემატა ქალთა გლობალური ფონდის, ფონდი „ტასოსა“ და „ქალთა ფონდი საქართველოში“ მიერ მოწოდებული მათი პარტნიორი და გრანტის მიმღები ორგანიზაციების შესახებ საკონტაქტო მონაცემები და, საერთო ჯამში, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ერთიანმა ბაზამ მოიცვა 237 ერთეული.

გამოკითხვა (ანკეტირება)

ვინაიდან კვლევა ითვალისწინებდა ქვეყანაში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით რეალურად მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოკითხვას, ჩვენ ხელთ არსებული ორგანიზაციის, საინიციატივო ჯგუფისა და სათემო კავშირის (სულ 237) ყველა წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნა წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელიც მოიცავდა 57 კითხვას¹ და ითვალისწინებდა ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების გამოკვლევას, როგორიცაა:

- სრული საკონტაქტო ინფორმაცია;
- საქმიანობის გეოგრაფია და მასშტაბი;
- ადამიანური და ტექნიკური რესურსი;
- ორგანიზაციების განვითარების დონე;

¹ იხ: ანკეტის ნიმუში, დანართი 1.

- ❖ პროექტები და სოციალური მენარმეობა;
- ❖ საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა;
- ❖ საჭიროებები და პრობლემები.

ადრესატების მიერ ელექტრონული სახით დაგზავნილი კითხვარის მიღება არაერთგზის გადამოწმდა ტელეფონის მეშვეობით, თუმცა, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მონაცემთა შეკრების პროცესი ექვს თვეს გაგრძელდა და მხოლოდ 44 ორგანიზაციიდან (რაც ორგანიზაციათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 18%-ს შეადგენს)¹ დაგვიბრუნდა შევსებული კითხვარი. მონაცემების შეკრების ასეთი დაბალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო ადრესატების სხვადასხვაგვარი ქმედებით, მათ შორის:

- ❖ ადრესატები უჩიოდნენ უდროობას, რის გამოც შესაძლებლობა არ ჰქონდათ შეევსოთ კითხვარი;
- ❖ ადრესატებს დასჭირდათ მრავალგზის თხოვნა და შეხსენება, იმისათვის, რომ სრულყოფილად შეევსოთ კითხვარი და მოეწოდებინათ;
- ❖ ადრესატები ოპერატიურად და სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ კითხვარის შევსებას;
- ❖ ერთმა ორგანიზაციამ არ ისურვა მონაწილეობის მიღება გამოკითხვაში.

შევსებული ანკეტების მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში (SPSS).

ჩაღრმავებული ინტერვიუები

ინტერვიუებისთვის 44 ორგანიზაციიდან შეირჩა შვიდი სხვადასხვა პროფილის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი², რომლებმაც სიღრმისეულად მოგვანოლეს ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემებისა და დაბრკოლებების, ასევე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსებისა და საჭიროებების შესახებ.

ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა საშუალება მოგვცა უფრო დეტალურად შეგვესწავლა სფეროში არსებული პრობლემები და დაგვეჩვენა საერთო სურათი.

¹ იხ: კვლევაში მონაწილე გამოკითხული ორგანიზაციების სია, დანართი 2.

² იხ: კვლევის ფარგლებში ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეთა სია, დანართი 3.

დაკვირვება

ქალთა საინფორმაციო ცენტრის გუნდის მიერ განხორციელდა 12 გასვლითი ვიზიტი საქართველოს 5 რეგიონში: აჭარა, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი.

გასვლითი ვიზიტების მიზანი იყო რეგიონებში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა. ვიზიტის ფარგლებში ქალთა საინფორმაციო ცენტრი ადგილობრივ ორგანიზაციებს სტუმრობდა მათსავე ოფისებში. გასვლითი ვიზიტების დროს ხდება არსებული სიტუაციის ადგილზე შესწავლა, დაკვირვება და, გარდა იმისა, რომ თვალნათლივ იკვეთება ორგანიზაციის განვითარებისა და საქმიანობის შედეგები, თავს იჩენს ისეთი ნიუანსები, როგორიცაა, ორგანიზაციების თანამშრომლობის ხარისხი, მასშტაბი და კონკურენცია, რაც უფრო ნათელ და რეალურ სურათს იძლევა, ვიდრე დისტანციური გამოკითხვა.

ფოკუს-ჯგუფები

არსებული რესურსებიდან გამომდინარე, პარტნიორულ თანამშრომლობაზე დაყრდნობით შეირჩა რეგიონალური ორგანიზაციები, რომლებიც დაგვეხმარნენ ფოკუს-ჯგუფების ორგანიზებაში. საქართველოს ოთხ რეგიონში ჩატარდა ექვსი ფოკუს-ჯგუფი. თითოეული ფოკუს-ჯგუფი დაკომპლექტდა 11 მონაწილით.¹

II ეტაპი

დამუშავდა კვლევის ყველა კომპონენტის შედეგად მიღებული ინფორმაცია და მომზადდა „საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასების“ საბოლოო დოკუმენტი. მონაცემები დამუშავდა Statistical package for the social sciences (SPSS) პროგრამაში.

კვლევის ძირითადი შედეგები მოცემულია დამხმარე დიაგრამებისა და ცხრილების სახით. დედაქალაქის ორგანიზაციების შედეგები შედარებულია რეგიონის ორგანიზაციებთან.

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
გენდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

11

თავი 1.
კვლევის შესახებ

¹ იხ. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა სია, დანართი 4.

თავი 2. კვლევის შედეგების აღწერა

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომზადებული
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

12

2.1. ზოგადი დახასიათება

კვლევის შედეგების თანახმად შესაძლებელია ითქვას, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა საკითხების სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები და სათემო კავშირები არც თუ მცირეა. ისინი შესაძლებელია დავყოთ მდგრად და ნაკლებგანვითარებულ ორგანიზაციებად.

მდგრადი **ორგანიზაციები** ინსტიტუციურად განვითარებულნი არიან და უწყვეტად ახორციელებენ პროექტებს, ხოლო, **ნაკლებგანვითარებული ორგანიზაციები**, რეგისტრირებული არიან, მუდმივი დაფინანსება არ აქვთ, თუმცა, დროდადრო გარკვეულ პროექტებს ახორციელებენ; კვლევის მონაცემების მიხედვით დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს დაახლოებით 237 აღნიშნული პროფილის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საინიციატივო ჯგუფი და სათემო კავშირი, რომელთაგან 44-ის მონაცემები წინამდებარე კვლევაშია აღწერილი.

კვლევის შედეგად გამოკითხულ ორგანიზაციათა შორის გამოიკვეთა ქალთა და გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციების ორი ტიპი: ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა და, ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთი, მაგრამ არა ძირითადი, მიმართულებაა აღნიშნული სფერო. კერძოდ, ორგანიზაციის ძირითადი პროფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ან დევნილთა საკითხებზე მუშაობა, თუმცა, თავის საქმიანობაში დიდ ყურადღებას აქცევს გენდერულ კომპონენტს.

კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ ორგანიზაციების უმრავლესობა დაარსებიდან ორ-სამ წელიწადში გადიოდა რეგისტრაციას. ორგანიზაციების 38%¹ (17 ორგანიზაცია) 2000 წლამდეა დაარსებული.

საგულისხმოა, რომ 1997 წლიდან შეინიშნება ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფუძნების

¹ იხ: დიაგრამა 1.

ზრდის დინამიკა.¹ გამოკითხული 44 ორგანიზაციიდან 22 ორგანიზაცია თბილისშია რეგისტრირებული, 22 რეგიონებში.


დიაგრამა 1.



საპარტოვლოში
მოქმედი
ქალთა
და
ბენდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

13

დიაგრამა 2.



თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა

¹ 1997-2002 წლებში დაფუძნებული ორგანიზაციების პროცენტული წილი 56%-ია.


ეს პროცესი, გამოწვეულია 1995 წელს პეკინში გამართული კონფერენციით, რომელმაც ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიო საზოგადოებაში. გარდა ამისა, ეს არის პოსტკონფლიქტური პერიოდი საქართველოში, და ბუნებრივია, საზოგადოება ნელ-ნელა ცდილობს იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც თან ახლდა საბჭოთა პერიოდის დასრულების ხანას და საქართველოში მიმდინარე შიდა და გარე კონფლიქტებს. ყველა ამ ფაქტორს ემატება საერთაშორისო ორგანიზაციების ინტენსიური შემოსვლა საქართველოში, რომლებიც ხელს უწყობდნენ თბილისსა და რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზრდის დინამიკა გრძელდება 2003 წლამდე, ხოლო 2003 წლიდან ეს პროცესი ნელ-ნელა იკლებს. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ რეგიონული ორგანიზაციები, რომელთა შორის ბევრმა ვერ გადალახა ფინანსური სირთულეები და ამის გამო ან მკვეთრად შეამცირა საქმიანობის მასშტაბი, ან სრულიად შეწყვიტა ფუნქციონირება.

რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით შესწავლილ იქნა ორგანიზაციათა მიერ ელექტრონული ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების გამოყენების ინტენსივობაც, კერძოდ, თუ რამდენად იყენებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ისეთ პოპულარულ სოციალურ ქსელებს, როგორიცაა facebook-ი ან სხვა, რათა გაავრცელონ ან მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია. ეს მონაცემები, თავის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციების სოციალური/სამოქალაქო აქტივობის დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. გამოკითხული ორგანიზაციებიდან 17 ორგანიზაციას აქვს ვებ-გვერდი,¹ თუმცა დასახელებული ვებ-გვერდების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ ექვსი ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი ვებ-გვერდი ახლდება ყოველდღიურად (ან პერმანენტულად). ექვსი ორგანიზაციის ვებ-გვერდი გათიშულია, ხოლო ხუთი ორგანიზაციის ვებ-გვერდი მუშაობს შეფერხებით, მასზე არ არის განთავსებული ახალი ინფორმაცია, ზოგიერთ შემთხვევაში არ იკითხება შრიფტი, ან (ერთ შემთხვევაში) ინფორმაცია ვებ-გვერდზე მოცემულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, რაც დამაბრკოლებელი გარემოებაა საქართველოში მცხოვრები დაინტერესებული ვიზიტორისთვის. გამოკითხული ორგანიზაციებიდან 12 სარგებლობს ორგანიზაციის სახელზე რეგისტრირებული Skype-ით და ამდენივე სარგებლობს სოციალური ქსელით.

¹ გამოკითხული ორგანიზაციების მიერ დასახელებული მათი საქმიანობის ამსახველი ვებ-გვერდები: www.avng.ge; www.ngomerkuri.ucoz.org; www.women.ge; www.lecbi.org.ge; www.minority.ge; www.ngo.ge; www.womancenter.org.ge; www.goridc.ge; www.fwe.ge; www.ytpa.ge; www.uteu.ge; www.fundsukhumi.ge; www.tanaziari.ge; www.womeninpolitics.ge; w-peace.ge; www.wprc.org.ge; www.gmc.ge; www.ginsc.net; www.wicge.org; www.iccn.ge.

ორგანიზაციების დიდი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული (22 ორგანიზაცია). დედა-ქალაქში რეგისტრირებული 22 ორგანიზაციიდან 10 ორგანიზაცია ახორციელებს რეგიონში საქმიანობას, მათ შორის, ყველაზე მეტი ორგანიზაცია მუშაობს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და იმერეთის მხარეში.

დიაგრამა 3.



გამოკითხული 44 ორგანიზაციის საქმიანობის არეალი 10 რეგიონს მოიცავს. ყველაზე მეტი ორგანიზაცია მუშაობს სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (12 ორგანიზაცია), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1 ორგანიზაცია).

ცხრილი 1. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული გამოკითხული ორგანიზაციების საქმიანობის გეოგრაფიული არეალი რეგიონულ ჯრილში


საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	6
გურიის მხარე	3
იმერეთის მხარე	10
კახეთის მხარე	5
მცხეთა-მთიანეთის მხარე	3
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	1
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	12
სამცხე-ჯავახეთის მხარე	9
ქვემო ქართლის მხარე	10
შიდა ქართლის მხარე	8


ორგანიზაციების გეოგრაფიული განფენილობა ქალაქების ჯრილში თითქმის ემთხვევა რეგიონულ ჯრილს. თუმცა, კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში არსებობს ქალაქები, სადაც ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები არ ფუნქციონირებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში დაფიქსირდა ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების გარკვეული რაოდენობა, ნათლად დავინახეთ, რომ ქუთაისში, ან ზუგდიდში არსებული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი მოიცავენ და თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას სრულად ფარავენ სამეგრელოსა და იმერეთის მთელ რეგიონს. საქართველოში არსებულ 69 რაიონული ცენტრიდან, ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე გამოკითხული ორგანიზაციები მხოლოდ 46 რაიონულ ერთეულს ფარავენ, ისიც ნაწილობრივ.


რაც შეეხება საერთაშორისო დონეს, გამოკითხული ორგანიზაციების 22,7% საქმიანობს საერთაშორისო დონეზე, 15,9% – სომხეთში და 13,6% – აზერბაიჯანში.

დიაგრამა 4.



ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ორიენტირებული გამოკითხვების საშუალებით გეოგრაფიული არეალი ქალაქების წრილში






საპარტევლოში
მოქმედი
ქალთა
და
გენდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგამლოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

2.2. ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სამიზნე ჯგუფები


გამოკითხულ პირთა მიერ ორგანიზაციის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის ყველაზე ხშირად დასახელდა: 1) ქალთა უფლებები (34 ორგანიზაცია), 2) გენდერული თანასწორობა (33 ორგანიზაცია), საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებებიდან, მხოლოდ ქალთა უფლებებია ის სფერო, რომელიც, ამავდროულად, მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს სიღარიბესთან ბრძოლას (3 ორგანიზაცია).

დიაგრამა 5.



ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფები საკმაოდ მრავალფეროვანია, იშვიათია ისეთი ტიპის ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ ერთი სამიზნე ჯგუფისთვის მუშაობს.

სამიზნე ჯგუფთა შორის გამოკითხული ორგანიზაციებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ქალები (95,5%), გოგონები და ახალგაზრდები (თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით – 79,5%) და სოფლად მცხოვრები ქალები (77,3%). აღნიშნული მაჩვენებლები, მცირეოდენი ცვლილებებით, თითქმის მეორდება მორე დიაგრამაში, სადაც ქალები, ახალგაზრდები და დევნილები ორგანიზაციათა ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ.



საპარტევოლოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

21


თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა

დიაგრამა 7.

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება


22

თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა



2.3 რესურსები და საჭიროებები

დიაგრამა 8.



საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება


23

თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა

საგულისხმოა, რომ ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობა საქართველოში ფლობს ტექნიკურ აღჭურვილობას, საოფისე ფართს და ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. 44 ორგანიზაციიდან 34 ორგანიზაციას აქვს საოფისე ფართი. ფლობენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, გააჩნიათ ძირითადი ტექნიკური აღჭურვილობა კომპიუტერების, პრინტერისა და ქსეროქსის აპარატის სახით, სხვა დამატებითი, თუმცა, აუცილებელი საშუალებების პროცენტული წილი გამოკითხულ ორგანიზაციებში თანდათან იკლებს, ხოლო, ისეთი ტექნიკური აღჭურვილობა, როგორიცაა ავტომობილი, გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 10%-ს (4 ორგანიზაციას) გააჩნია. მცირეა, ასევე, იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ ცენტრალური გათბობა და კონდიციონერი. ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცდომილებით შექმნიან ელემენტარული სამუშაო პირობები, კომფორტი კი მათთვის უფრო შორეული პერსპექტივაა.

ორგანიზაციების მატერიალურ-
ტექნიკური აღჭურვილობა

■ რაოდენობრივი მაჩვენებელი



ორგანიზაციებში მოწყობილია საკონფერენციო ან შეხვედრების ოთახი და ფლობენ ბიბლიოთეკას (29 ორგანიზაცია) ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ბიბლიოთეკის განახლება და შევსება ახალი გამოცემებით ძირითადად ხდება სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული მასალებით, გარდა ამისა, ორგანიზაციების ნაწილი ბიბლიოთეკისთვის ახალ გამოცემებს იწერს ინტერნეტის მეშვეობით (10 ორგანიზაცია) ან გამოსცემს თავად (7). მათი ბიბლიოთეკის მომხმარებლები ძირითადად არიან დაინტერესებული პირები, სტუდენტები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

გამოკითხულ ორგანიზაციებს მიაჩნიათ რომ ბენეფიციარები ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ.


გამოკითხული 44 ორგანიზაციის მხოლოდ 36%-ს (16 ორგანიზაციას) აქვს საკონფერენციო/სატრენინგო დარბაზი. აქედან, შვიდ ორგანიზაციას შეუძლია შეხვედრების უზრუნველყოფა 25 და მეტი ადამიანის მონაწილეობით. დანარჩენს – უფრო მცირე რაოდენობის ბენეფიციართა მონაწილეობით.

ორგანიზაციების მატერიალურ/ტექნიკური თუ ადამიანური რესურსებს პერიოდულად იყენებს სხვა ორგანიზაციები. კითხვაზე, გამოიყენება თუ არ თქვენი ორგანიზაციების რესურსები, გამოკითხულ ორგანიზაციათა 71,4% (30 ორგანიზაციამ) დადებითად უპასუხა, თუმცა, კითხვაზე დაეკონკრეტებინათ აღნიშნული შეკითხვა და დაეზუსტებინათ თუ რა სიხშირით ხდება ამ რესურსების გამოყენება, მიღებული პასუხები რამდენადმე არათანხვედრილი აღმოჩნდა პირველ კითხვასთან მიმართებაში და გამოკითხული ორგანიზაციების 71%-მა აღნიშნა, რომ იშვიათად ხდება მათი რესურსების გამოყენება.


საპარტოვლოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

25

დიაგრამა 10.



თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა



კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული ორგანიზაციებიდან 16 ორგანიზაციას არ აქვს საკმარისი კომპიუტერი ოფისში და მათი უმრავლესობა, ორგანიზაციების თითქმის 97,6% სარგებლობს ინტერნეტ-მომსახურებით. ძირითადად, ორგანიზაციები სარგებლობენ კავსუს DSL-სა (46,3%) და სილქნეთის (34,1%) სერვისით, ყველაზე ნაკლებად Jeosell Jeoconnect-ით (4,9%).

ორგანიზაციების ძირითად ნაწილს (44,2%) დასაქმებული ჰყავს 1-დან 3-მდე თანამშრომელი მუდმივ შტატში და ორგანიზაციების მხოლოდ 16,3% ჰყავს ათზე მეტი მუდმივი თანამშრომელი. ეს მაჩვენებელი პირდაპირ ასახავს გამოკითხული ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების დონეს და მიანიშნებს იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგას საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობა. მათ არ აქვთ გრძელვადიანი პროექტები, რომელიც უზრუნველყოფდა თანამშრომელთა დასაქმებას ხანგრძლივად. შესაბამისად, ორგანიზაციები პროექტის ფარგლებში ასაქმებენ თანამშრომელს, ხოლო პროექტის დასრულებისთანავე ისინი სამსახურის გარეშე რჩებიან. ეს ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობას და მათ ინსტიტუციურ განვითარებას. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული გამოცდილების დაგროვებისა და კვალიფიკაციის გაზრდის შემდეგ კადრი სამომავლო პერსპექტივის მიზნით ტოვებს რეგიონს, ან არასტაბილური და დაბალი ანაზღაურების გამო ტოვებს ორგანიზაციას და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით გადადის დედაქალაქში, ან ტოვებს ქვეყანას.

კვლევიდან ნათელი გახდა, რომ მოხალისეთბრივი კულტურა გამოკითხულ ორგანიზაციებში განვითარებულია. ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების 81,4%-ს (34 ორგანიზაციას) ჰყავს მოხალისე. მათ შორის, 17 ორგანიზაციას ჰყავს 5 და მეტი მოხალისე. ხოლო 9 ორგანიზაცია მოხალისეებს იღებს უცხოეთიდანაც.

2.4. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები


გამოკითხულ 44 ორგანიზაციიდან თითქმის ყველა ორგანიზაცია ეწევა სერვის-მომსახურებას. ზოგიერთ ორგანიზაციას რამდენიმე სახის სერვისის განწევაც კი შეუძლია ბენეფიციარებისათვის. მაგალითად ტრენინგების ორგანიზება (მათ შორის, სატრენინგო მოდულების შექმნა) და კონსულტაციების განწევა, ან ვებ-გვერდების შექმნა, ინტერნეტ-კონფერენციის ორგანიზება და ა.შ. ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები ნაწილობრივ სერვის-მომსახურებაზეა ორიენტირებული. ორგანიზაციებს აქვთ როგორც უფასო (74,2%), ისე ფასიანი (9,7%) სერვის-მომსახურება, ხოლო 16,1% ეწევა როგორც ფასიან, ისე უფასო სერვის მომსახურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციებიდან ინსტიტუციურად ჯერ-ჯერობით ძალიან მცირეა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც შესაძლოა სახელმწიფოსათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებად განვიხილოთ. საზოგადოებრივი სექტორის განვითარებას მკვეთრად შეუწყობდა ხელს სახელმწიფო სექტორთან ამ კუთხით თანამშრომლობა, თუკი ისინი უფრო მეტ პროექტს განახორციელებდნენ ერთობლივად, ან მიიღებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ სერვის-მომსახურებას, ვინაიდან ნათლად გამოჩნდა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ დროის მანძილზე დაუგროვდა საკმაო გამოცდილება და რესურსი. ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათ ხელი შეუწყონ სახელმწიფო სტრუქტურებსა და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, შეასრულონ ერთგვარი მედიატორის როლი და უფრო მეტად დაეხმარონ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანად გაზრდის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ხარისხს.


დიაგრამა 12.

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საპოთხეზე
მოთხავე
საზოადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

28

თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა





საპარტოვლოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

29

თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა

გამოკითხული ორგანიზაციების 63,6% ეწევა კვლევით საქმიანობას, რომლის მოპოვება შესაძლებელია ელექტრონული და ბეჭდური სახით მათ ორგანიზაციებში, საჯარო ბიბლიოთეკასა და მათი საქმიანობის ამსახველ ვებ-გვერდებზე. გამოკითხული ორგანიზაციების მიერ დასახელებულ დონორთა შორის არის ადგილობრივი საერთაშორისო და უცხოური ფონდები, რომლებიც აფინანსებენ აღნიშნულ კვლევებს. ჩატარებულია რამდენიმე მედია-მონიტორინგიც. სამხრეთ კავკასიის გენდერულ საინფორმაციო პორტალზე (GINSC.NET)¹, რომელიც სამეზოვანია. განთავსებულია საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა, ეკონომიკური საქმიანობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, დასაქმება, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ოჯახში ძალადობა, არჩევნები, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ასევე, რეგიონში ქალთა საჭიროებების გამოვლენა და ა.შ.

¹ იხ: სამხრეთ კავკასიის გენდერული საინფორმაციო ქსელი: www.ginsc.net


2.5 ორგანიზაციების საჭიროებები

დიაგრამა 14.

საქართველოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

30

თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა



მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თითქმის 95%-მა დაადასტურა, რომ ოფისში აქვთ კომპიუტერი, პრინტერი და ელემენტარული საოფისე აღჭურვილობა, კითხვარის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ტექნიკური აღჭურვილობა არასაკმარისია, განსაკუთრებით საჭიროებენ ისინი კომპიუტერებს, ხოლო ისეთი საკითხი,

როგორცაა ოფისის ცენტრალური გათბობის სისტემა და კონდიციონერი, აღმოჩნდა, რომ ერთგვარ მიუღწეველ კომფორტს წარმოადგენს, იმდენად, რომ მათ საერთოდ არ დაასახელეს ორგანიზაციის საჭიროებების ნუსხაში.

2.6. ადვოკატირება და ლობირება

გამოკითხული ორგანიზაციებიდან 28 ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ისინი მონაწილეობენ **გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის პროცესებში**, გენდერული კონცეფციის განხილვაში, ესწრებიან პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიცირებით ორგანიზებულ შეხვედრებს, სხვადასხვა ფორუმებსა და კონფერენციებს, რომელიც ეძღვნება ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას.

იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობის რეალიზებას შეუწყონ ხელი ორგანიზაციები ატარებენ ტრენინგებს, სემინარებს, ავრცელებენ ბუკლეტებს, აქვეყნებენ საგაზეთო პუბლიკაციებს. სატელევიზიო გადაცემებისა და ინტერაქტიური გამოკითხვების მეშვეობით ხელს უწყობენ მოსახლეობის ჩართვას გენდერული თანასწორობის საკითხების განხილვაში.

ზოგიერთი ორგანიზაციის ბაზაზე ფუნქციონირებს ქალთა კლუბი, სადაც ხდება ქალთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის შესახებ და იმართება დისკუსიები, ტრენინგები, მრგვალი მაგიდა, ფორუმები სხვადასხვა თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობენ ქალები რეგიონებიდან. კვლევის რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ჩართულნი არიან ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობას, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ს, ქალთა უფლებებთან დაკავშირებით ალტერნატიული ანგარიშების მომზადებას და სხვა. ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა პოლიტიკური დანინაურებისა და გაძლიერების კუთხით მუშაობენ, ატარებენ წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატი ქალების ხელშეწყობ აქციებსა და ღონისძიებებს. გამოდიან საკანონმდებლო ინიციატივებით და ცდილობენ ამ ინიციატივების დაცვას.

გამოკითხული ორგანიზაციებიდან 27 ორგანიზაცია (61%) მონაწილეობს ქალთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ **ადვოკატირებისა და ლობირების პროცესებში**. ორგანიზაციები არჩევენების დროს მართავენ სხვადასხვა ტიპის შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, პარტიის წევრებთან, აწარმოებენ პარალელურ და ქალი კანდიდატების მხარდამჭერ კამპანიას, ლობირებენ ქალებს, რათა პარტიებმა ისინი შეიყვანონ კანდიდატთა სიებში; მართავენ დისკუსიებს ადგილობრივი ხელისუფლებისა და ქალთა ჯგუფების მონაწილეობით.

საპარტეზოლოში
მოქმედი
ქალთა
და
განდერულ
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

31


თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა

ორგანიზაციები ცალკეული შემთხვევების დროსაც უწევენ მოქალაქეებს ადვოკატირებასა და ლობირებას. მაგალითად, ბინის მიღებისა თუ პენსიის დანიშვნის, ბენეფიციარების ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების დაცვის დროს. სასამართლოში გაყრასთან, ალიმენტთან, ქონებრივ უფლებებთან და, ასევე, ბავშვთა მეურვეობაზე საქმის წარმოებისას. ხელს უწყობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელმწიფო სტრატეგიის შესრულებას, ძალადობის მსხვერპლი, შეზრდილი შესაძლებლობებისა და სხვა კატეგორიის ქალების პრობლემების მოგვარებას, ასევე, ქალებს, რომელთაც სურთ მცირე ბიზნესის წარმოება და სხვა მრავალი.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემების ადვოკატირებისა და ლობირებისათვის იყენებს „ერთი ფანჯრის“¹ პრინციპის საკონსულტაციო შეხვედრების მეთოდოლოგიას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მიუხედავად იმისა, რომ წარმატებულად ახორციელებენ მონყვლადი ჯგუფების პრობლემების ადვოკატირებას, ქალთა კუთხით არსებულ პრობლემათა შორის ყველაზე მწვავე პრობლემად **ოჯახში ძალადობას ასახელებენ.**

¹ „ერთი ფანჯრის“ პრინციპი გულისხმობს მოქალაქეებისათვის მიწოდებული მომსახურების მოდელს, რომლის დროსაც ერთი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირი ერთ დღეს, ერთად იყრის თავს და უსმენს თავად დევნილებსა და კონფლიქტით დაზარალებულ მოქალაქეებს, რომლებიც თავიანთ პრობლემებს წარუდგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრების მიზანია სხვადასხვა სტრუქტურაში მოქალაქეთა მიმართვის აუცილებლობის შემცირება და ნებისმიერი მომსახურების ერთ ადგილას კონცენტრირება, განცხადების მიღებიდან დაწყებული, გადაწყვეტილების მიღებით დამთავრებული. აღნიშნული მეთოდი ემყარება პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას. პროექტი ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ ქალთა საინფორმაციო ცენტრთან (WIC) და ფონდთან „ტასო“ თანამშრომლობით, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით.



საპარტეზოლოში
მოქმედი
ქალთა
და
ბენეფიციური
საკითხებზე
მომუშავე
სამოგადოებრივი
ორგანიზაციების
შეფასება

33


თავი 2.
კვლევის შედეგების
აღწერა

გარდა დიაგრამაში ნაჩვენები პრობლემებისა გამოკითხული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაასახელეს სხვა პრობლემებიც, როგორიცაა:

- განქორწინება და ნაადრევი ქორწინება
- ქალთა მიგრაცია
- გენდერული თანასწორობის გააზრების პრობლემა
- ტრენინგების უშედეგობა
- რეგიონში ეკოლოგიის პრობლემა
- მწირი დაფინანსება
- კვალიფიციური კადრების სიმცირე
- სექსუალური გზით გადამდები დაავადებები

ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრისა და ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად¹, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა საქართველოს 1000 მოქალაქე სპეციალურად შედგენილი კითხვარის საფუძველზე თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში, აღმოჩნდა, რომ რესპოდენტებმა საქართველოში მცხოვრებ ქალების ძირითად პრობლემად დაასახელეს უმუშევრობა (50,1%), სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (18,4%) და ჯანდაცვა (6,2%). შემდეგ მოდის ოჯახში ძალადობა (5,8%) განათლება (5,2%) და გენდერული თანასწორობა (5,1%) ეს მონაცემები არ ემთხვევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დასახელებულ პრობლემების პრიორიტეტულ ნუსხას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიაგრამაში ნაჩვენებია შვიდი პრობლემა სხვადასხვა თანმიმდევრობით, მაგრამ მაინც იმ ძირითად პრობლემათა შორისაა, რომელსაც ასახელებენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე, შემთხვევითი შერჩევის გზით გამოკითხული პირები.

დიაგრამა 16².



¹ კვლევის მიზანი იყო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) აღსრულების ხელშეწყობა, მონაცემების შეკრება და გამოყენება. გენდერული უფლებებისა და საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა და განათლება. „კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ის აღსრულების კვლევა საქართველოში“ იხილეთ ვებ-გვერდზე: www.ginsc.net ; რუბრიკა: ბიბლიოთეკა.

² მონაცემები ამოღებულია: „კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ის აღსრულების კვლევა საქართველოში“.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ასახელებენ ადვოკატირებისა და ლობირების არაერთ შემთხვევას, კვლევებში აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მათ უჭირთ ამ ტერმინების სწორად განსაზღვრა და მაგალითებად მოჰყავთ ისეთი შემთხვევები, რომელიც ნაკლებად შეესაბამება ადვოკატირებისა და ლობირების პროცესს.

2.7. პარტნიორები

ქალთა უფლებებისა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები ახორციელებენ კოალიციურ პროექტებს. გამოკითხული 44 ორგანიზაციიდან 39-მა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ისინი ახორციელებენ პარტნიორულ პროექტებს რეგიონულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციაში შემავალ ორგანიზაციებთან, ასევე, ადგილობრივ და უცხოურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფონდებთან ერთად.

